943

ᲣᲤᲐᲡᲝ

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

კრებული

№ 1 | წელიწადი მეშვიდე | 1943 წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

1. საქართველოს ალკკ ც.კ-ის, საქ. სსრ განსახ-
კომის, საქ. სსრ მიწსახკომისა და საქ. სსრ
დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის
ც.კ-ის დადგენილება 2
2. ბრძანება № 439—1942 წ. ზაფხულის პერიოდში
სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში სკოლების
მონაწილეობის შედეგებისა და 1943 წლის ზაფ-
ხულზე ამ დარგში მუშაობის გაღმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ 11

F435

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი — 1942

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკაკ ც. კ.-ის, საქართველოს სსრ განსახკომის, საქართველოს სსრ მიწსახკომისა და საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ც.კ-ის დადგენილება 1942 წლის ზაფხულის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილე ალკაკ რაიკომებისა, განათლების განყოფილებების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის რაიკომების, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეების 1942 წლის ზაფხულის პერიოდში 10 ივნისიდან 30 სექტემბრამდე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ მასალების შეჯამების შედეგად, საქართველოს ალკაკ ც.კ.-ი, საქართველოს სსრ განსახკომი, საქართველოს სსრ მიწსახკომი და საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ც.კ.-ი ადგენენ:

I.

მოსწავლეთა შრომის კარგად ორგანიზებისა, მათში შრომითი დისციპლინის დანერგვისა, კოლმეურნეთა შორის კულტმასობრივი მუშაობის გაშლისა, მუშაობის ხარისხისა და შრომადღეების გამომუშავების დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისა, სასკოლო მიწის ნაკვეთების სანიმუშოდ დამუშავებისა და აგრეთვე წითელ არმიელთა ოჯახებისათვის შრომითი დახმარების გაწევისათვის დაჯილდოებული იქნენ სასწავლო კაბინეტებითა და ლიტერატურით, შემდეგი სკოლები:

1. ზუგდიდის რაიონის ჭითაწყარის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ოლღა პეტრეს-ასული გვათუა.

(სკოლამ გამოიმუშავა 8880 შრომადღე, საშუალოდ 137,5 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

2. გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი უშანგი გიორგის-ძე ულუმბერაშვილი.

(სკოლამ გამოიმუშავა 18.800 შრომადღე, საშუალოდ 130 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

3. წალკის რაიონის კირიაკის არასრული საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი პავლე სიმონის-ძე ანტონიადი.

(სკოლამ გამოიმუშავა 9777 შრომადღე, საშუალოდ 127 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

4. სიღნაღის რაიონის ულიანოვკის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ალექსანდრე სტეფანეს-ძე ბელაში.

(სკოლამ გამოიმუშავა 17,114 შრომადღე, საშუალოდ 93 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. სკოლამ მოსწავლეთაგან მოამზადა კომბაინის 13 მწონავი. მოსწავლეებისაგან გამოყოფილი იყო 10 ხმამაღალი მკითხველი, რომლებიც ყოველდღიურად უკითხავდნენ გაზეთს კოლმეურნეებს).

5. ბალის რაიონის ზემო ბარღების საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ტ. აკუბარდია; კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ლ. გამახარია.

(სკოლამ გამოიმუშავა 14.467 შრომადღე, საშუალოდ 91 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. სანიმუშოდ იყო დაყენებული კულტმასობრივი მუშაობა).

6. თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ალექსანდრე ვასილის-ძე ობგაიძე.

(სკოლამ გამოიმუშავა 6670 შრომადღე, საშუალოდ 89 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

7. სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ელენე ფორეს-ასული მირიანაშვილი.

(სკოლამ გამოიმუშავა 19.920 შრომადღე, საშუალოდ 86-შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. მოსავლის აღების პერიოდში სკოლაში მოეწყო საბავშვო ბაგა, ბავშვებს უვლიდნენ მასწავლებლები, სანიმუშოდ დამუშავებულ იქნა სასკოლო მიწის ნაკვეთი 2 ჰექტარის ფართობით).

8. სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ვასილ ივანეს-ძე გურაშვილი.

(სკოლამ გამოიმუშავა 16.403 შრომადღე, საშუალოდ 86 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. ამასთანავე სკოლამ მოსწავლეთა მეშვეობით დაამუშავა სასკოლო მიწის ნაკვეთი 7 ჰექტარის ფართობით).

9. ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე ნოზაძე.

(სკოლამ გამოიმუშავა 14.367 შრომადღე, საშუალოდ 83 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. სანიმუშოდ არის დამუშავებული სასკოლო მიწის ნაკვეთი და ამასთანავე სკოლამ დახმარება აღმოუჩინა მოსავლის აღებაში წითელარმიელთა 80 ოჯახს).

10. დუშეთის რაიონის ბაზალეთის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ბენიამინ მელიტონის-ძე მეხუზლა.

(სკოლამ გამოიმუშავა 7645 შრომადღე, საშუალოდ 83 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე, სკოლამ კარგად დამუშავა სასკოლო მიწის ნაკვეთი, 1,5 ჰექტარის ფართობით).

11. გურჯაანის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ნუნუ მიხეილის-ასული ნანობაშვილი.

(სკოლამ გამოიმუშავა 14.545 შრომადღე, საშუალოდ 83 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

12. გეგეჭკორის რაიონის გეგეჭკორის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ვარლამ კონსტანტინეს-ძე ჯანჯღლავა.

(სკოლამ გამოიმუშავა 6963 შრომადღე, საშუალოდ 82 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. სკოლამ სანიმუშოდ დააყენა კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური და სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა).

13. მახარაძის რაიონის ლიხაურის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ტუშა გრიგოლის-ასული დოლიძე.

(სკოლამ გამოიმუშავა 10.189 შრომადღე, საშუალოდ 80 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

14. ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ალექსანდრა ალექსის-ასული ქვარცხავა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ანა ალექსანდრეს-ასული გვათუა.

(სკოლამ გამოიმუშავა 8008 შრომადღე, საშუალოდ 80 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

15. ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი მიხეილ ნოეს-ძე ბზეკალავა.

(სკოლამ გამოიმუშავა 6619 შრომადღე, საშუალოდ 67 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე, სკოლას აქვს სანიმუშოდ დამუშავებული სასკოლო მიწის ნაკვეთი 2 ჰექტარის ფართობით).

16. ჭიათურის რაიონის ჩხირაულის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი გალინა სერგოს-ასული დეკანოიძე.

(სკოლამ გამოიმუშავა 9.727 შრომადღე, საშუალოდ 60 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. სკოლამ დახმარება გაუწია მოსავლის აღებაში წითელარმიელთა ოჯახებს და აქვს სანიმუშოდ დამუშავებული სასკოლო მიწის ნაკვეთი).

17. თბილისის რაიონის მარტყოფის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ქსენია სიმონის-ასული ხანდოლიშვილი.

(სკოლამ გამოიმუშავა 11.711 შრომადღე, საშუალოდ 62 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

18. დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი ნიკოლოზ პავლეს-ძე გოგიტაური.

(სკოლამ გამოიმუშავა 4156 შრომადღე, საშუალოდ 45 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე. სკოლას აქვს სანიმუშოდ დამუშავებული სასკოლო მიწის ნაკვეთი).

19. წალკის რაიონის წინწყაროს არასრული საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი გაბრიელ კუზმას-ძე ტერსენოვი.

(სკოლამ გამოიმუშავა 10481 შრომადღე, საშუალოდ 158 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

20. წალკის რაიონის ხაჩკოვის არასრული საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი შუშანიკ რუბენის-ასული გარიბიანი.

(სკოლამ გამოიმუშავა 8780 შრომადღე, საშუალოდ 136 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

21. წალკის რაიონის წსლკის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი მიხეილ ივანეს-ძე სტეფანდი.

(სკოლამ გამოიმუშავა 42780 შრომადღე, საშუალოდ 84 შრომადღე თითოეულ მოსწავლეზე).

II.

მოსწავლეთა ბრიგადებისათვის სანიმუშო ხელმძღვანელობის გაწევისა და შრომადღეების გამომუშავების დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის დაჯილოებული იქნენ სიგელებით შემდეგი მასწავლებლები:

1. ჭიათურის რაიონის ჩხირაულის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე კაპანაძე (გამოიმუშავა 400 შრომადღე).

2. საგარეჯოს რაიონის სართიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელი ანტონ გიორგის-ძე აბდიშევი (შეისწავლა საკომბაინო საქმე და აიღო მოსავალი 311 ჰექტარიდან).

3. ჭიათურის რაიონის ქვაციხის საშუალო სკოლის მასწავლებელი სიმონ დავითის-ძე ჟღენტი (გამოიმუშავა 350 შრომადღე).

4. ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი თამარ გოლეთიანი (გამოიმუშავა 300 შრომადღე).

5. ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი აკოფ ანტონის-ძე მარქარიანი (გამოიმუშავა 296 შრომადღე).

6. ჩხარის რაიონის ეწერის საშუალო სკოლის მასწავლებელი გიორგი რობაქიძე (გამომიმუშავა 275 შრომადღე).

7. გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი მიხეილ ნიკოლოზის-ძე გოგილაშვილი (გამომიმუშავა 256 შრომადღე).

8. ქარელის რაიონის აბისის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი გიორგი ალექსის-ძე ნიორაძე (გამომიმუშავა 254 შრომადღე).

9. თეთრიწყაროს რაიონის ახალსოფლის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ესტატე ალექსის-ძე წიკლაური (შეისწავლა სატრაქტორო საქმე (გამომიმუშავა 252 შრომადღე).

10. ახალქალაქის რაიონის ალავერდის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ვარაზდატ არუთინის-ძე კარახანიანი (გამომიმუშავა 250 შრომადღე).

11. თელავის რაიონის ოჟიოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი მარგო გიორგის-ასული მრელაშვილი (გამომიმუშავა 245 შრომადღე).

12. სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი გიორგი სპირიდონის-ძე ცაბუტაშვილი (გამომიმუშავა 240 შრომადღე).

13. თეთრიწყაროს რაიონის ბოგვის საშუალო სკოლის მასწავლებელი ივანე ზაქარიას-ძე დალაქიშვილი (გამომიმუშავა 230 შრომადღე).

14. სოხუმის რაიონის ეშერის აფხაზური არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ანტონინა ალექსანდრეს-ასული ივანოვა, (გამომიმუშავა 301 შრომადღე).

15. თეთრიწყაროს რაიონის ერტისის ა/ს საშუალო სკოლის მასწავლებელი სევერიან გრგუაძე (გამომიმუშავა 220 შრომადღე).

16. ჩხარის რაიონის ეწერის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლიდა ტარასის-ასული სულამანიძე (გამომიმუშავა 225 შრომადღე).

17. გურჯაანის რაიონის შიბლიანის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი გიორგი ნიკოლოზის-ძე ზირაქიშვილი (გამომიმუშავა 225 შრომადღე).

18. ახალქალაქის რაიონის ოკამის საშუალო სკოლის მასწავლებელი მუგრუშ მამედის-ძე გასრატოვი (გამომიმუშავა 212 შრომადღე).

19. გაგრის რაიონის შაფრანის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი აგასი არაქელიანი (გამომიმუშავა 210 შრომადღე).

20. გეგეჭკორის რაიონის ქვედა ხუნწის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ნატალია შარუს-ასული მონიავა (გამომიმუშავა 210 შრომადღე).

21. გურჯაანის რაიონის ყანდაურის საშუალო სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელი არჩილ გიორგის-ძე ჯავახიშვილი (გამომუშავა 210 შრომადღე).

22. გეგეჭკორის რაიონის ნახარებოვოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი გიორგი იასონის-ძე ახალაია (გამომუშავა 208 შრომადღე).

23. ონის რაიონის ჭიბრევის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ივანე ილარიონის-ძე ომიაძე (გამომუშავა 205 შრომადღე).

24. დუშეთის რაიონის სოდევის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ნიკოლოზ მათეს-ძე გვრიტიშვილი (გამომუშავა 203 შრომადღე).

25. ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშუალო სკოლის მასწავლებელი ტერენტი აპოლონის-ძე ოდიშარია (გამომუშავა 201 შრომადღე).

26. გეგეჭკორის რაიონის წინაკვერკვეს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი თამარ ვლადიმერის-ასული ჯღარკავა, ალკ ქ ეევრი (გამომუშავა 216 შრომადღე).

III.

შრომადღეების გამომუშავებაში განსაკუთრებული შედეგების მიღწევისა და სანიმუშო შრომის დისციპლინისათვის დაჯილდოებული იქნენ სიგელებით შემდეგი მოსწავლეები:

1. ზუგდიდის რაიონის ჭკადუაშის არასრული საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ცვარია ლევანის-ასული ანთია (გამომუშავა 422 შრომადღე).

2. ამავე სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე ლუსია ფილოს-ასული გელენიძე (გამომუშავა 375 შრომადღე).

3. ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ჟუჟუნა არჩილის-ასული ნაჭყებია (გამომუშავა 301 შრომადღე).

4. ამავე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ალექსანდრა კვარაცხელია (გამომუშავა 304 შრომადღე).

5. ამავე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ლუნა ლევანის-ასული ანთია (გამომუშავა 314 შრომადღე).

6. დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის საშუალო სკოლის მოსწავლე შალვა გახას-ძე ყელისაშვილი (გამომუშავა 335 შრომადღე).

7. გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე რაჟდენ ქიტესის-ძე მახარაშვილი (გამომუშავა 400 შრომადღე).

8. ამავე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე თენგიზ ნიკოლოზის-ძე ბაცაძე (გამომუშავა 300 შრომადღე).

9. გალის რაიონის აჩიგვარის არასრული საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ირინე ონოფრეს-ასული გრაუსი (გამოიმუშავა 385 შრომადღე).

10. ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე მატრონა ანდრიას-ასული რუდნიჩენკო (გამოიმუშავა 287 შრომადღე).

11. გურჯაანის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე შალვა დავითის-ძე ჩომახაშვილი (გამოიმუშავა 328 შრომადღე).

12. გალის რაიონის ზემო ბარლების საშუალო სკოლის მოსწავლე ნიჯვალი დიტოს-ძე ჯახაია, ალკა წეკრი (გამოიმუშავა 329 შრომადღე).

13. სიღნაღის რაიონის ულიანოვკის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ნიკოლოზ არიშინი (გამოიმუშავა 288 შრომადღე).

14. სიღნაღის რაიონის წნორის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გიორგი ჩუთლაშვილი (გამოიმუშავა 275 შრომადღე).

15. სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე სოსო ბეგიაშვილი (გამოიმუშავა 280 შრომადღე).

16. ამბროლაურის რაიონის ლიხეთის საშუალო სკოლის მოსწავლე ანზორ ბერიძე (გამომიმუშავა 280 შრომადღე).

17. თელავის რაიონის აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე არჩილ ტოროლაშვილი (გამომიმუშავა 256 შრომადღე).

18. მახარაძის რაიონის ნატანების საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გიორგი იასონის-ძე გუჯაბიძე (გამომიმუშავა 254 შრომადღე).

19. ახალქალაქის რაიონის ალასტანის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე სარქის პოზიანი (გამომიმუშავა 248 შრომადღე).

20. ხაშურის რაიონის ოსიაურის საშუალო სკოლის მოსწავლე ვალერიან ახალკაცი (გამომიმუშავა 240 შრომადღე).

21. ლაჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე შუტუ ფილიპეს-ასული რუსიძე (გამომიმუშავა 246 შრომადღე).

22. სიღნაღის რაიონის ულიანოვკის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე მარიამ ლაზუტინა (გამომიმუშავა 242 შრომადღე).

23. ჭიათურის რაიონის ქვაციხის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე კაპიტონ ჩაფიძე (გამომიმუშავა 230 შრომადღე).

24. ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ვლადიმერ ჯმუხაძე (გამომიმუშავა 230 შრომადღე).

25. მცხეთის რაიონის გალავნის არასრული საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ლიდა ჩოხელი (გამოიმუშავა 220 შრომადღე).

26. აბაშის რაიონის წყემის ა/ს საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე შოთა ანტონის-ძე გვილავა (გამოიმუშავა 226 შრომადღე).

27. ტყიბულის რაიონის საწირის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე თინა ბენედიქტეს-ასული გაბადაძე, (გამოიმუშავა 220 შრომადღე).

28. ახალქალაქის რაიონის ხანდოს საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე მანუკ მელკონიანი (გამოიმუშავა 219 შრომადღე).

29. აბაშის რაიონის საგვაზაოს საშუალო სკოლის მოსწავლე ვალერიან ნიკოლოზის-ძე ბოკუჩავა (გამოიმუშავა 218 შრომადღე).

30. ძველი აბაშის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე გრიგოლ ალექსის-ძე გაბელაია (გამოიმუშავა 214 შრომადღე).

31. ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე კუკურა პართენის-ძე სარჯველაძე (გამოიმუშავა 211 შრომადღე).

32. თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის ქართული საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ლევან იაშვილი, (გამოიმუშავა 210 შრომადღე).

33. ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის არასრულ საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ბესარიონ ალის-ძე კვესეიშვილი (გამოიმუშავა 207 შრომადღე).

34. სიღნაღის პედსასწავლებლის მე-2 კურსის მოსწავლე, თამარ ქუმსიაშვილი (გამოიმუშავა 206 შრომადღე).

35. გეგეჭკორის რაიონის ლეციცხვაიეს საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ნუცა იასონის-ასული ღვაბერიძე (გამოიმუშავა 203 შრომადღე).

36. ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ამირან ლაზარიშვილი (გამოიმუშავა 200 შრომადღე).

37. ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე მიხეილ ტიხონის-ძე კუზინი (გამოიმუშავა 214 შრომადღე).

38. ამავე სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ვასილ ალექსის-ძე კუზინი (გამოიმუშავა 238 შრომადღე).

39. ამავე რაიონის ფიჭვნარის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე თუნთულ ზაბითის-ასული ვამაყმაძე (გამოიმუშავა 204 შრომადღე).

40. ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ზექია მამედის-ასული მოწყობილი (გამოიმუშავა 200 შრომადღე).

IV.

მე-6—10 კლასის მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაობისათვის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებათა თავის დროზე გატარებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის კარგი ორგანიზაციისა, სასკოლო მიწის ნაკვეთების სანიმუშოდ მოვლისა და კოლმეურნეობებში კულტმასობრივი მუშაობის კარგად დაყენებისათვის დაჯილდოვებული იქნენ გარდამავალი დროშებით და სიგელებით შემდეგი ალკკ რაიკომები, სახალხო განათლების საარაიონო განყოფილებები და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომები:

1. საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომი, რაიკომის მდივანი ტატიანა თედორეს-ასული გრიგოლია,—ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების გამგე გრიგოლ გიორგის-ძე ბირკაია,—დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი, გარდამავალი დროშით და სიგელებით.

2, საქართველოს ალკკ ჭიათურის რაიკომი,—რაიკომის მდივანი სერგო ივანეს-ძე კაპანაძე, ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების გამგე ვარლამ ნესტორის-ძე ბიწაძე, დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი,—თავმჯდომარე მაშო დავითის-ასული გელაშვილი,—გარდამავალი დროშით და სიგელებით.

3. საქართველოს ალკკ ოჩამჩირის რაიკომი,—რაიკომის მდივანი არსენ ესტატეს-ძე ჯალალანია,—ოჩამჩირის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების გამგე ასტამულ ნიკოლოზის-ძე მარღანია—სიგელებით.

4. საქართველოს ალკკ ახალქალაქის რაიკომი,—რაიკომის მდივანი აპეტნიკ ისრაელის-ძე ავაქიანი,—ახალქალაქის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების ყოფილი გამგე აკოფ არამის-ძე ბლრციანი,-დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი,—თავმჯდომარე სერგო ანდრიას-ძე ბაბიანი—სიგელებით.

5. საქართველოს ალკკ გეგეჭკორის რაიკომი,—რაიკომის მდივანი ტოჩი გიორგის-ძე წოწორია—გეგეჭკორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების გამგე რომანოზ კონდრატეს-ძე ძაძამია, დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი,—თავმჯდომარე ნადია ლუკას-ასული ჭოჭუა,—სიგელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს ალკ წალკის რაიკომი,—რაიკომის მდივანი იაკობ პავლეს-ძე კოჩოვი,—წალკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების გამგე არქიპო ათანასეს-ძე ტერსენოვი, დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი—სიგელებით.

7. საქართველოს ალკ სიღნაღის რაიკომი,—რაიკომის მდივანი ზინა გიორგის-ასული ბოლაშვილი,—საღნაღის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების გამგე გიორგი იაგორის-ძე ამიროვი,—დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი,—თავმჯდომარე ქეთევან დავითის-ასული სინჯიკაშვილი,—სიგელებით.

8. საქართველოს ალკ თეთრიწყაროს რაიკომი,—რაიკომის მდივანი დავით ივანეს-ძე მაჩაიძე,—თეთრიწყაროს რაიონის სახალხო განათლების განყოფილება, განყოფილების გამგე მიხეილ ბაბრიელის-ძე სიმონიშვილი,—დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი,—თავმჯდომარე ილია აპოსტოლის-ძე აპოსტოლოვი—სიგელებით.

9. ლანჩხუთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება,—განყოფილების გამგე გიორგი ისაკის-ძე ჩხაიძე,—დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომი—თავმჯდომარე გრიგოლ ამბაკოს-ძე კვაჭაძე,—სიგელებით.

საქ. ალკკ ც.კ. მდივანი
გ. ცქიტიშვილი
საქ. სსრ. მიწახსკომის მოადგილე
გ. ალავიძე

საქ. სსრ განათლების
სახ. კომისარი გ. კიკნაძე
საქართველოს დაწყებითი
და საშუალო სკოლების
მუშაკთა კავშირის ც.კ.
თავმჯდომარე გ. ბარამიძე

ბრძანება № 439

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წ. 13 თებერვალი

1942 წლის ზაფხულის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში სკოლების მონაწილეობის შედეგებისა და 1943 წლის ზაფხულზე ამ დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აღვნიშნავ, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე და საქართველოს სსრ განსახკომის, სსრ მიწსახკომის, საქართველოს ალკკ ც.კ.-სა და საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ც.კ.-ის მიერ გამოცხადებულ

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შედეგად საქართველოს სსრ დაწყებითი არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ნათესების დამუშავებაში, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლაში, ციტრუსოვან მცენარეთა პლანტაციების გათოხვნაში, ჩაის კრეფაში, პირუტყვის მოვლა-პატრონობაში, აბრეშუმის ჭიის გამოკვებაში, მოსავლის აღება-შენახვაში და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში.

1942 წლის ზაფხულის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მე-6-10 კლ. 100.000-მდე მოსწავლე და დაწყებით, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის 7000-მდე მასწავლებელი მონაწილეობდა; ზათ მიერ მარტო საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1942 წლის 10 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე 6 მილიონზე მეტი შრომადღე იქნა გამომუშავებული.

1942 წლის ზაფხულის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაობში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ახალქალაქის, გეგეჭკორის, ჭითურის, წალკის, ზუგდიდის, ოჩემჩირის, სოხუმის და სიღნაღის რაიონების სკოლების მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა. მაგალითად, სოხუმის რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ზაფხულის პერიოდში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა 2088 მოსწავლე, გამომუშავებული იქნა 223.785 შრომადღე, რაც საშუალოდ შეადგენს 96 შრომადღეს თითოეულ მოსწავლეზე; გეგეჭკორის რაიონში მუშაობდა 2220 მოსწავლე, გამომუშავებული იქნა 180,903 შრომადღე, რაც საშუალოდ შეადგენს 81 შრომადღეს თითოეულ მოსწავლეზე; სიღნაღის რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობდა 2328 მოსწავლე, გამომუშავებული იქნა 141.074 შრომადღე და ა.შ.

ზოგიერთმა სკოლამ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისა და მოსწავლეთა წარმატების მაღალი ხარისხის მიღწევისათვის ენერგიულ მუშაობასთან ერთად საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაობში მოსწავლეთა შრომის საუკეთესო ორგანიზებისა, კოლმეურნეობებში კულტმასობრივი მუშაობის გაშლისა და შრომადღეების დიდი რაოდენობით გამომუშავების დარგში.

ასეთია: ზუგდიდის რაიონის ჭითაწყაროს საშუალო სკოლა (დირექტორი-გიორგი ისიდორეს-ძე ქირია).

გურჯაანის რაიონის კაკრეთის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი უშანგი გიორგის-ძე ულუმბერაშვილი).

წალკის რაიონის კირიაკის არასრული საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი პავლე სიმონის-ძე ანტონიადი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღის რაიონის ულიანოვკის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი ალექსანდრე სტეფანეს-ძე ბელაში).

სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი ელენე ფორეს-ასული მიხანაშვილი).

სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი ვასილ ივანეს-ძე გურაშვილი).

გურჯაანის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი ნუნუ მიხეილის-ასული ნანობაშვილი).

გეგეჭკორის რაიონის გეგეჭკორის საშუალო სკოლა [სკოლის დირექტორი ვარლამ კონსტანტინეს-ძე ჯანჯღავა).

მახარაძის რაიონის ლიხაურის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი ტუშა გრიგოლის-ასული დოლიძე).

ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი ალექსანდრა ალექსის-ასული ქვარცხავა).

ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი მიხეილ-ნოეს-ძე ბზეკალავა).

ჭიათურის რაიონის ჩხერაულის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი გალინა სერგოს-ასული დეკანოიძე).

ლუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი ნიკოლოზ პავლეს-ძე გოგიტაური).

წალკის რაიონის წინწყაროს არასრული საშუალო სკოლა (სკოლის დირექტორი გაბრიელ კუზმას-ძე ტერსენოვი).

წალკის რაიონის ხაჩკოვსკის არასრული საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი შუშანიკ რუბენის-ასული ღარიბიანი და სხვ.

ვთვლი, რომ ასეთი წარმატება მიღწეული იქნა დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების, ალკა რაიკომებისა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის რაიკომების კონკრეტული ხელმძღვანელობის შედეგად და აგრეთვე იმის გამო, რომ სკოლების დირექტორებმა დროულად გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უკეთ მონაწილეობაზე, სათანადოდ მოაწყვეს მოსწავლეთა შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე, ფართოდ გაშალეს მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა და მოსწავლეებში დანერგეს მაღალი შრომითი დისციპლინა.

ამ წარმატებებთან ერთად, საქართველოს სსრ მთელ რიგ რაიონებში 1942 წლის ზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის საქმეში ადგილი ქონდა ნაკლოვანებებს.

თელავის რაიონის მრავალი სკოლა მოუმზადებელი შეხვდა მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გაყვანის საქმეს. თელავის I, II და III საშუალო სკოლების მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობის გარეშე მიდიოდნენ მინდვრად, ფაქტიურად არ მუშაობდნენ და გაკვეთილებსაც აცდენდნენ. საგარეჯოსა და ყარაიაზის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში პირველ ხანებში სწორად

არ იყო ორგანიზებული მობილიზებულ მოსწავლეთა კვება. ლუქსენბურგის, ყარაიას, ახალციხის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეგები და სკოლის დირექტორები არ ამოწმებდნენ სისტემატურად საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე მოსწავლეთა რაზმების მუშაობას, მოსწავლეთა შრომის აღრიცხვის მდგომარეობას და არ ეხმარებოდნენ რაზმის ხელმძღვანელებს მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში. მოსწავლეთა შრომის აღრიცხვის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად სამხრეთ-ოსეთის ოლქის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ბაშკიჩეთის, ყარაიაზის რაიონების განათლების განყოფილებებს დღემდე არა აქვთ წარმოდგენილი მასალები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ, ხოლო ლაგოდეხის, ვანის, ხობის, კასპის და მაიაკოვსკის რაიონებმა უხარისხო მასალა წარმოადგინეს.

ზოგი სკოლის დირექტორმა და მასწავლებელმა უდარდელობა გამოიჩინა სოფლის მეურნეობაში მოსწავლეთა ჩაბმის საქმეში. ამბროლაურის საშუალო სკოლის მასწავლებლები თვითონ გაუთბოდნენ სამუშაოს და მათ მაგალითზე მოსწავლეებიც არ მუშაობდნენ. ამ სკოლის მოსწავლეებმა ზაფხულის პერიოდში საშუალოდ მხოლოდ 4 შრომა დღე გამოიმუშავეს. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ცხაკაიას, ბორჯომის და თეთრიწყაროს რაიონების ზოგიერთ სკოლაში.

1943 წლის ზაფხულზე საქართველოს სსრ არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ორგანიზებულად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებებმა მტკიცე კავშირი დაამყარონ რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოებთან, გაიცნონ 1943 წლის ზაფხულის სამუშაოებში მუშა ხელის მოთხოვნილება; არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებმა ზუსტად გამოარკვიონ, თუ ზაფხულის განმავლობაში სად, როდის და რა სახის სამუშაოების შესრულებაზე რამდენი მასწავლებელი და მოსწავლე არის საჭირო და ამის მიხედვით აწარმოონ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიმაგრება კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე.

2. სამიწათმოქმედო ორგანოებისათვის კვალიფიცირებული მუშა-ხელის,-ტრაქტორისა და კომბაინის მძღოლები, მწონავები, აღმრიცხველები და სხვ.,—მომზადების საქმეში პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა გაიცნონ რაიონში კვალიფიცირებული მუშახელის მომზადების გეგმა, კურსებსა და სემინარებზე ჩასარიცხავად შეარჩიონ სათანადო პირები უფროსი კლასების მოსწავლეებიდან და ყველა საჭირო პირობები შექმნან იმისათვის, რათა კურსებზე ჩარიცხული მოსწავლეები სკოლაში სწავლა არ ჩამორჩნენ.

3. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობის უკეთ ორგანიზებისა და მოსავლის გადიდების საქმეში საუკეთესო შედეგების მიღწევის მიზნით:

ა) 1943 წლის 1-აპრილამდე იქნეს გადამზადებული მე-6 მე-10 მოსწავლენი საქართველოს სსრ-ს მიწსახკომის მიერ დამტკიცებულ აგრომინიმუმის პროგრამების მიხედვით, მათგან პირველი ოგმი, ისინი რომლებიც ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, ვენახის და ციტრუსოვანი მცენარეების ფერთობების მქონე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იგზავნებიან სამუშაოდ;

ბ) სათანადო ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა რაზმების სწორად დაკომპლექტებას, უმცროსი ასაკის მოსწავლენი და მოსწავლე ქალები გაერთიანებული იქნენ იმ რაზმებში, რომელთაც ფიზიკურად მსუბუქი სახის სამუშაოების შესრულება დაეკისრებათ;

გ) რაზმების ხელმძღვანელებად გამოყოფილი იქნენ შრომის უნარიანი და ბეჯითნი იმ მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან, რომლებმაც გასულ წელს საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომისა და დისციპლინის საუკეთესო მაგალითები მოგვცეს.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლების დირექტორებმა ამთავითვე მიიღონ ზომები, რათა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმული მოსწავლეები და მასწავლებლები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყოფილი იქნენ სათანადო საყოფაცხოვრებო პირობებით და ნორმალური კვებით.

5. ზაფხულის განმავლობაში კოლმეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმული მოსწავლეების კულტმასობრივი მომსახურეობის საქმის საუკეთესოდ მოწესრიგების მიზნით:

ა) მოსწავლეთა ყოველ რაზმში წინასწარვე გამოიყონ აგიტატორები, რომელთაც დაეკისრებათ ზაფხულის პერიოდში მინდვრად მუშაობის დროს აგიტაციის ჩატარება; გაზეთების ხმამაღალი კითხვისა, წითელ არმიის გმირულ ბრძოლებისა და საბჭოთა ზურგის შრომითი თავდადების ამსახველი წერილების კითხვისა და შინაარსის თხრობის მეთოდების შესახებ გამოყოფილი აგიტატორებისათვის სკოლებში წინასწარ მოეწყოს კონსულტაციები;

ბ) მოსწავლეთა რაზმების გაზეთებით, ჟურნალებით, პლაკატებითა, რუკებითა და აგიტაციის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის საჭირო სხვადასხვა ლიტერატურით და თვალსაჩინო მასალებით უზრუნველყოფის მიზნით ამთავითვე იქნეს მიღებული საჭირო ზომები.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მუშაობის აღრიცხვის საქმეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მიღწეული იქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმულმა ყოველმა მასწავლებელთა და მოსწავლემ ყოველი კვირის ბოლოს იცოდეს, თუ რამდენი შრომა დღე გამოიმუშავა მან, ხოლო თითოეულმა სკოლამ ყოველი თვის 1-რიცხვისათვის შეაჯამოს ცნობები მოცემული სკოლის მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული შრომა დღეების შესახებ, თანდართული № 1 ფორმის მიხედვით და დაუგვიანებლივ გადაუგზავნოს განათლების განყოფილებას.

7. რაიონის განათლების განყოფილებებმა ყოველი თვის 5 რიცხვში შეაჯამონ და გამოუგზავნონ განსახკომს სკოლების მიერ წინათვეში ჩატარებული მუშაობის შედეგები, თანდართული ფორმის მიხედვით; ამ ანგარიშს თან დაურთონ მოკლე მოხსენებანი წინათვეებში ჩატარებული მუშაობის საუკეთესო შედეგების და არსებული ნაკლის ახასიათებით.

8. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ სისტემატურად შეამოწმოს რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში სკოლების მონაწილეობის მდგომარეობა და ადგილზე მიიღოს, საჭირო ზომები შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: სსრ განსახკომის კოლეგიის 1943 წ. 4 ოებერვლის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

ფორმა № 1

_____ 1943 წ. 1 _____ სათვის სკოლის დასახელება
(თვე)

სკოლაში სწავლობდა სასწავლო წლის ბოლოს, მოსწავლე			_____ თვეში სკოლაში იღებდა მონაწილეობას სასოფ-ლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლე			_____ თვეში სკოლის მიერ გამომუშავებულია შრომადღე			წინათვეებთან ერთად დღემდე სკოლის მიერ გამომუშავებულია შრომადღე		
სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.	სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.	სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.	სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.

ფორმა № 2

რაიონის დასახელება _____ 1943 წ. _____ სათვის
(თვე)

რაიონის სკოლებში სწავლობდა სასწავლო წლის ბოლოს, მოსწავლე			_____ თვეში რაიონში იღებდა მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, მოსწავლე			_____ თვეში რაიონში გამომუშავებულია შრომადღე			წინათვეებთან ერთად დღემდე რაიონში გამომუშავებულია შრომადღე		
სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.	სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.	სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.	სულ	1—5 კლ.	6—10 კლ.

პ/მგ. რედაქტორი **ბ. ი. კიზირია**

Сборник приказов и распоряжений НКПроса ГССР № 1. 1943 г.

შეკვეთა № 3370 ტირაჟი 2000 უ1545

სტამბა ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატისა, ფურცელაძე, 5.